ხელშეკრულება № 33

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 მარტი 2023 წელი

ერთი მხრივ, **შპს „სპორტმშენსერვისი“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის გერონტი ცინდელიანის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ვიქტორია სექიურითი“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი გუგეშაშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: შპს „სპორტმშენსერვისი“-ს ბალანსზე არსებულ ობიექტზე, რომელიც მდებარეობს - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #49ა -ში (ს/კ 01.14.07.008.014) შენობის 6.3 ნიშნულზე (529.46 კვ/მ) სიგნალიზაციის სისტემის (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი) **CPV-31625300** შესყიდვა, დანართი #1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **1173,42 (ათასასსამოცდაცამეტი ლარი და ორმოცდაორი თეთრი) ლარი;**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება, ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #49ა -ში (ს/კ 01.14.07.008.014);

3.2 შესყიდვის ობიექტზე უნდა გავრცელდეს გარანტია, არანაკლებ 1 წლის ვადით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომელიც გულისხმობს, ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში მისი დაზიანების აღმოჩენის შემდეგ შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში შეკეთებას ან ჩანაცვლებას ახლით;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: მიხეილ ფიცხელაური (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი);

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – ავთანდილ ძნელაძე;

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი ავთანდილ ძნელაძე;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი მიმწოდებელი

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7,2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204878542 **მის:**ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#49ა **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „ტერა ბანკი“ **ბანკის კოდი:** TEBAGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE08KS0000000360800806	**შპს „ვიქტორია სექიურითი“** **საიდენტიფიკაციო კოდი:** 205119762 **მის:** ქ. თბილისი, ჩიქოვანის #2 **საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. "საქართველოს ბანკი" **ბანკის კოდი:** BAGAGE22 **ანგარიშის ნომ:** GE62BG0000000968127400

დირექტორი: გ.ცინდელიანი

დირექტორი: გ.გუგეშაშვილი

Giorgi Gugeshashvili Digitally signed by Giorgi Gugeshashvili Date: 2023.03.22 17:51:38 +04'00'

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი#1

#	**დასახელება**	**რაოდენობა**	**ერთ. ფასი**	**ჯამი**
1	სიგნალიზაციის პანელ-გადამცემი LUN25	1 ცალი	397.46	397.46
2	კლავიატურა LUN25	1 ცალი	120.44	120.44
3	აკუმულატორი 7ა/ს	1 ცალი	52.52	52.52
4	საკომუნიკაციო ყუთი	1 ცალი	24.77	24.77
5	სირენა (შიდა)	1 ცალი	24.77	24.77
6	გერკონი	1 ცალი	5.95	5.95
7	მოძრაობის დეტექტორი	6 ცალი	29.73	178.38
8	კაბელი 4*022	50 ცალი	0.62	31
9	კაბელი 8*022	80 ცალი	1.20	96
	დამატებითი მასალები			46.56
	ინსტალაციის საფასური			195.57
	სულ: 1173.42 ლარი			

დირექტორი: გ.ცინდელიანი

Geronti Tsindeliani 51001002907

Digitally signed by Geronti Tsindeliani
Date: 2023.03.22 13:03:59

დირექტორი: გ.გუგეშაშვილი

შემსყიდველი

მიმწოდებელი